#1 ადგილი ოფიციალური დოკუმენტების გაცემის კუთხით

მე-2 ადგილი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ეფექტურობაში

მოსახლეობის 92% კმაყოფილია ოფიციალური დოკუმენტების გაცემის პროცედურით

წყარო: "განვითარებადი ქვეყნების ცხოვრების კვლევა" EBRD, 2011

2 405 405

info@psh.gov.ge

www.psh.gov.ge

www.facebook.com/publicservicehall

ყველაფერი ერთ სივრცეში

ერთიანი ბიბლიოთეკა

მოვალეთა რეესტრი

...იყავი დაცული!

იუსტიციის სახლი

რა არის მოვალეთა რეესტრი?

მოვალეთა რეესტრი არის იმ ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემთა ერთობლიობა, რომელთა მიმართაც 2010 წლის 1 იანვრიდან მიმდინარეობს იძულებითი აღსრულების პროცესი.*

რისთვისაა საჭირო მოვალეთა რეესტრი?

მოვალეთა რეესტრის საშუალებით, ადვილად არის შესაძლებელი მოვალე ფიზიკური და იურიდიული პირების გამოვლენა. რეესტრში მოხვედრისას, დავალიანების გადახდევინების მიზნით, მათ ეზღუდებათ შემდეგი უფლებები:

- საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული ქონების შემდგომი განკარგვის უფლება (გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა და ა. შ.);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში დარეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და იარაღის განკარგვის შემდგომი რეგისტრაცია;
- საბანკო ოპერაციების განხორციელება.

როგორ მოვიძიო ინფორმაცია მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირების შესახებ?

მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებული პირების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ელექტრონულად, იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე www.house.gov.ge ან იუსტიციის სახლში.

როგორ მივიღო ამონაწერი მოვალეთა რეესტრიდან?

მოვალეთა რეესტრიდან ამონაწერის მისაღებად მიმართეთ იუსტიციის სახლს. ფიზიკური პირის შემთხვევაში, თან იქონიეთ იმ პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ვისზეც გსურთ ამონაწერის მიღება. იურიდიული პირის შემთხვევაში საჭიროა ამონაწერი ბიზნეს-სუბიექტის შესახებ. საკმარისია საიდენტიფიკაციო კოდის წარმოდგენა.

* კანონის თანახმად, შესაძლებელია, პირი 2010 წლის 1 იანვრამდე დაწყებულ საქმეზეც მოხვდეს მოვალეთა რეესტრში.

მომსახურების ვადა და საფასური:



თქვენს განცხადებაზე პასუხს განცხადების ჩაბარებიდან მომდევნო სამუშაო ღოღს მიიღებთ. მომსახურების ღირებულება [illegible] 10 ლარი. გადახდის დამადასტურებელი ქვითარი [illegible] წარადგინოთ განცხადებასთან ერთად.

როგორ ხდება მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვა?

მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვის საფუძვლებია:

- დავალიანების სრულად დაფარვა;
- დაკისრებული ჯარიმის სხვა სახდელით შეცვლა (ჯარიმის შემთხვევაში);
- აღსრულების შეწყვეტა ან სააღსრულებო საბუთის დაბრუნება;
- სასამართლო გადაწყვეტილება;
- რეესტრში რეგისტრირებული პირის საკუთრებაში არსებული ისეთი ნივთის დაყადაღება, რომლის შემდგომი რეალიზაციით შესაძლებელია გადასახადის სრულად დაფარვა.